

# GEORGIAN DREAM STUDIOS

ი/მისამართი: თბილისი 0162, ჭავჭავაძის ბაზ. 39ა  
ფ/მისამართი: თბილისი 0105, კოჯორის გზა #6  
#6 კოჯორის გზა #6, 0105,  
თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 2 557 070  
ს/ა: 404 947 475  
www.gds.tv

L/ADDRESS: 39A CHAVCHAVADZE AVE., TBILISI 0162, GEORGIA  
A/ADDRESS: 6 KODJORI HIGHWAY, TBILISI 0105, GEORGIA  
#6 KODJORI HWY., 0105,  
TBILISI, GEORGIA  
OFFICE: +995 32 2 557 070  
TAX CODE: 404 947 475  
www.gds.tv

აწ 42  
31.01.17

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის თავჯდომარეს,

ბ.-ნ ვახტანგ აბაშიძეს,

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კანონმდებლობისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“ (ს/კ 404947475) წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

- 1) ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს გასული წლის საქმიანობის მოკლე ანგარიში:

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ მაუწყებლობის დაწყების დღიდან უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს სამაუწყებლო საქმიანობას, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდგომ - შესაბამისი ავტორიზაციის (ავტორიზაციის ნომერი: BR-957) პირობებით.

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს ეთერში გადის ახალი ამბების გადაცემები, ასევე საკუთარი წარმოების თუ უცხოური პროდუქცია, მხატვრული და დოკუმენტური ფილმები და სერიალები, ასევე სხვა სახის პროგრამები, რომელთა მართლზომიერი გათავსების უფლება ტელეეთერში ტელეკომპანიას შექმნილი/მოპოვებული აქვს.

ყველა გადაცემის თაობაზე, რომელიც გადის ტელეეთერით, მოკლე ანოტაცია და სამაუწყებლო ბადე ყოველი კვირის ორშაბათ დღეს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ეგზავნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: [ivs@schedule.gncc.ge](mailto:ivs@schedule.gncc.ge).

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე შექმნილი აქვს „ტელეკომპანია ჯი-დი-ეს თი-ვის თვითრეგულირების კომისია“, შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილი გვაქვს მარეგულირებელ კომისიაში.

ტელეკომპანიამ უზრუნველყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქება მაუწყებლობის შესახებ კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საარჩევნო კოდექსის სრული დაცვით.

## 2) საქართველოს კანონმდებლობის, ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ ინფორმაცია

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ეთერში პირველად გასვლის დღიდან დღემდე იცავს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ჯეროვნად ასრულებს თითოეულ ვალდებულებას. კერძოდ:

### ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა შესრულების შესახებ ინფორმაცია

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ „მაუწყებლობის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ და სხვა კანონებით გაწერილი ვალდებულებანი გასული წლის მანძილზე შეასრულა ჯეროვნად. კერძოდ,

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „ჯი-დი-ეს თი-ვი“-მ 2017 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინა ინფორმაცია ამავე კანონის 61-ე მუხლში გაწერილი წესის შესაბამისად, მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობიდან გამომდინარე. ასევე, ტელეკომპანიამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიაწოდა და საკუთარ ვებგვერდზე განათავსა ინფორმაცია ზემოხსენებული კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად.

- ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს ეთერში განთავსებულ კომერციულ რეკლამებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარდგენილია მარეგულირებელ კომისიაში, დადგენილი ფორმის შესაბამისად. გარდა აღნიშნულისა, „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ტელეეთერში განთავსებს სოციალურ რეკლამას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

- „ჯი-დი-ეს თი-ვი“ იცავდა „მაუწყებლობის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქცევის წესს. მის მიერ არ მომხდარა საკუთარი ტელეეთერით რაიმე სახის, ცილისწამებლური ინფორმაციის გავრცელება;

- „ჯი-დი-ეს თი-ვის“ მიერ არ მომხდარა საკუთარი ტელეეთერით მესამე პირთა უფლებების (საავტორო და სხვ.) დარღვევა. იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელი შეიძენდა რაიმე სახის პროგრამას ან მოიპოვებდა უფლებას კონკრეტული ღონისძიების გადაცემის თაობაზე, აღნიშნულის შესახებ ატყობინებდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას;



- „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ყოველ თვე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგენს წინა თვის საანგარიშო პერიოდის რეგულირების საფასურს („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად).

ბ) ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნათა შესრულების შესახებ ინფორმაცია

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ჯეროვნად ასრულებს ავტორიზაციის პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ GDS TV-ის სიგნალის მიღება შესაძლებელია როგორც მულტიპლექსი ოპერატორის მეშვეობით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მისი სატელევიზიო სიგნალის ხილვა შესაძლებელია სხვადასხვა საკაბელო ოპერატორების („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ავტორიზებული პირები) მომხმარებლისთვის შეთავაზებულ პაკეტში, ასევე ქვემოთჩამოთვლილი სატელიტიდან, შემდეგ პარამეტრებზე:

Satellite - Türksat 3A  
Position - 42.0°E  
Frequency - 11472 H  
SR - 23450  
FEC - 5/6  
System - DVB-S/MPEG-2

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ იცავს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მაგალითად, გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის წესს, ქმნის არქივს და არანაკლებ 1 თვის მანძილზე ინახავს პროგრამებს; წარუდგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ინფორმაციას მომდევნო კვირის პროგრამების განრიგისა და დასახელებების შესახებ; მაუწყებლობას ახორციელებს დღე-ღამის განმავლობაში 24 საათის მანძილზე და სხვ.).

ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ იცავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45<sup>1</sup> მუხლის მე-10 პუნქტით ავტორიზებული პირებისათვის გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

გ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნათა შესრულების შესახებ ინფორმაცია

„ჯი-დი-ეს თი-ვი“ ასრულებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით დადგენილ ვალდებულებებს, კერძოდ, ვალდებულებებს რომელიც ეხება მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის დაცვის პრინციპებს, ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას,

არასრულწლოვანთა დაცვის ინტერესებს, რეკლამისა და სპონსორობის წესებს, ასევე სხვათა საავტორო და მომიჯნავე უფლებებს.

3) მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმა და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია

(1) მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმა - მიმდინარე წელს ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ აპირებს მაყურებელს შესთავაზოს არაერთი სიახლე. კერძოდ, იგეგმება ეთერში გავიდეს ახალი გადაცემები - თოქ-შოუები, მხატვრული ფილმები და საკუთარი წარმოების ქართული სერიალები, რომლებზეც შესაბამისი უფლებების შეძენის შემთხვევაში, ისევე როგორც გასული წლის მანძილზე, „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ინფორმაციას წარუდგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

(2) დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია - ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს თი-ვი“ ფინანსდება მისი პარტნიორის შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“-ს (ს/კ 204563123) მიერ, ასევე დაფინანსების წყაროს წარმოადგენს რეკლამა და სპონსორობა, რის თაობაზეც ინფორმაცია წარმოდგენილია კომისიაში საამისოდ დადგენილი წესით.

პატივისცემით,  
შპს „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს დირექტორი  
თინათინ გობეჯიშვილი

